



გამჭირვალობის

ანგარიში

2024 წელი

Contents

1. აუდიტორული ფირმის სამართლებრივი ფორმა;.....	4
2. ქსელის აღწერა და მმართველობის სტრუქტურა.....	4
3. აუდიტორული ფირმის მმართველობის სტრუქტურა	5
4. შიდა ხარისხის მართვის სისტემის აღწერა და განცხადება მისი ეფექტიანობის შესახებ.....	5
5. სამსახურის მიერ ბოლო ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების თარიღი;	6
6. საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ჩამონათვალი.....	6
7. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომები.....	6
8. პარტნიორებისა და აუდიტორთა განგრძობითი განათლების პოლიტიკა.....	7
9. პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები.....	7
10. პარტნიორებისა და საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა.....	7
11. ინფორმაცია შემოსავლების შესახებ.....	8
12. ინფორმაცია სანქციების შესახებ.....	8

მმართველი პარტნიორის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

როგორც **Moore abc LLC-ის მმართველი პარტნიორი**, სიამაყით ვადასტურებ, რომ ფირმა აგრძელებს საქმიანობას პროფესიული ეთიკის, დამოუკიდებლობისა და ხარისხის უმაღლესი სტანდარტების დაცვით. ჩვენი მთავარი მიზანია გამჭირვალობის, სანდოობისა და პროფესიული სრულყოფილების შენარჩუნება ყველა მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს ფირმის ღირსების საფუძველს.

გამჭირვალობის ეს ანგარიში ასახავს Moore abc-ის პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ზედამხედველების წინაშე. ასევე, იმ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომლებიც გადადგმულია ხარისხის მართვის სისტემის განმტკიცებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მადლობას ვუხდით ჩვენს თანამშრომლებს, კლიენტებსა და პარტნიორებს ნდობისთვის, თანამშრომლობისთვის და ერთობლივი მიზნების მხარდაჭერისთვის. ჩვენ ერთგულნი ვრჩებით Moore Global-ის ქსელის ღირებულებებისადმი — „*Helping you thrive in a changing world*“ — და ვაგრძელებთ ხარისხზე, პროფესიონალიზმზე და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვაზე ორიენტირებულ საქმიანობას.



მიხეილ აბაიძე
მმართველი პარტნიორი

Moore abc LLC

1 ნოემბერი 2025 წელი



Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number [206331691](#). Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

1. აუდიტორული ფირმის სამართლებრივი ფორმა;

აუდიტორული ფირმა „მოორ ეი-ბი-სი“ შპს (Moore abc LLC) არის შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი მოქმედებს, როგორც Moore Global Network Limited-ის ქსელში შემავალი დამოუკიდებელი წევრი ფირმა. ფირმის საიდენტიფიკაციო ნომერია 206331691, ხოლო აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის ნომერია SARAS-F-320544.

ფირმის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, საქართველო, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქუჩა, N 6

ფირმის ფაქტური მისამართია: ქ. თბილისი, საქართველო, სულხან ცინცაძის ქუჩა # 12

Moore abc LLC-ის საქმიანობა რეგულირდება სამეწარმეო კანონმდებლობით და საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS და/ან სამსახური) მიერ დადგენილი წესებითა და რეგულაციებით.

2. ქსელის აღწერა და მმართველობის სტრუქტურა

Moore Global Network Limited (MGNL) არის დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული საერთაშორისო ქსელი, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ აუდიტორულ, საბუღალტრო, საგადასახადო და საკონსულტაციო ფირმებს მსოფლიოს 116-ზე მეტ ქვეყანაში. ქსელის ფირმებში დასაქმებულია 37,000 პროფესიონალზე მეტი. ქსელის საერთო შემოსავალია 5.1 მილიარდი აშშ დოლარი. ქსელის თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს ცალკე იურიდიულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარ საქმიანობაზე და მოქმედებს Moore Global-ის საერთო სტანდარტების, ეთიკისა და ხარისხის პრინციპების შესაბამისად.

Moore Global-ის მმართველობის სისტემა შექმნილია მაღალი პროფესიული სტანდარტების შესანარჩუნებლად და ქსელის წევრი ფირმების ზრდისა და წარმატების მხარდასაჭერად. მმართველობის ჩარჩო ეფუძნება პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობისა და თანამშრომლობითი ლიდერობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულად მაღალ ხარისხს მსოფლიოს ყველა იურისდიქციაში.


ქსელის მმართველობა მოიცავს შემდეგ ძირითად სტრუქტურებს:

- Global Board (გლობალური საბჭო) – აერთიანებს წარმომადგენლებს სხვადასხვა რეგიონიდან და უზრუნველყოფს Moore Global Network Limited-ის პოლიტიკის დამკვიდრებასა და მონიტორინგს. საბჭო იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ სხვადასხვა ლოკაციაზე. საბჭოს თავმჯდომარეა Andy Armanino (კალიფორნია, აშშ).
- Network Executive Team (ქსელის აღმასრულებელი გუნდი) – ახორციელებს MGNL-ის ყოველდღიურ მმართველობასა და ადმინისტრირებას. გუნდს ხელმძღვანელობს Anton Colella, Moore Global Network Limited-ის გლობალური აღმასრულებელი დირექტორი (Global CEO).
- Regional structure (რეგიონული სტრუქტურა) – MGNL დაყოფილია ხუთ რეგიონად:
 1. Moore Africa & Middle East
 2. Moore Asia Pacific
 3. Moore Europe
 4. Moore Latin America
 5. Moore North America

ეს რეგიონული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ქსელის პოლიტიკის განხორციელებას რეგიონულ დონეზე და წევრ ფირმებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

Moore Global-ის წევრობა ეფუძნება მკაფიო წესებსა და პროფესიული სტანდარტების შესრულების მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია Membership Terms and Agreements დოკუმენტებში. წევრ ფირმებს მოეთხოვებათ Moore სახელწოდების გამოყენების წესების, პროფესიული სტანდარტების და ქსელის ხარისხის მონიტორინგის მოთხოვნების უმაღლეს დონეზე დაცვა.

Moore Global Member firms worldwide



3. აუდიტორული ფირმის მმართველობის სტრუქტურა

Moore Abc LLC-ის მმართველობა ეფუძნება გამჭირვალობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპებს. ფირმაში მოქმედებს მმართველი საბჭო (Managing Board), რომელიც ფირმის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს და ფლობს საბოლოო პასუხისმგებლობას ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე.

საბჭო, როგორც წესი, შედგება აქციონერებისგან, მმართველი პარტნიორებისგან, გარიგების (engagement) პარტნიორებისგან და სხვა შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისგან.

მმართველი პარტნიორი (Managing Partner), რომელიც არის მმართველი საბჭოს წევრი, ფლობს ოპერაციულ პასუხისმგებლობას ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SOQM) ეფექტიან ფუნქციონირებაზე, დამოუკიდებლობისა და IESBA-ის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესებზე ზედამხედველობაზე და შიდა საჩივრებისა და ეთიკური საკითხების მართვაზე. აღნიშნულ როლს ფირმაში ასრულებს მმართველი პარტნიორი.

4. შიდა ხარისხის მართვის სისტემის აღწერა და განცხადება მისი ეფექტიანობის შესახებ

აუდიტორულ ფირმას დანერგილი აქვს ხარისხის მართვის სისტემა (System of quality management (SOQM)), რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტის ISQM 1; ISQM 2 – და Moore Global Network-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სისტემა მოიცავს ხარისხის მართვის ყველა ძირითად კომპონენტს — მმართველობასა და ხელმძღვანელობას, ფირმის რისკების შეფასების პროცესს, ეთიკასა და დამოუკიდებლობას, დამკვეთის მიღებისა და გაგრძელების პოლიტიკას, გარიგების შესრულება, რესურსების, მათ შორის ადამიანური რესურსების მართვას, ინფორმაციისა და კომუნიკაციის პროცესებს, მონიტორინგსა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ხარისხის მართვის სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მმართველი პარტნიორი, ხოლო შიდა მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის ხელმძღვანელი და Ethics Leader, Moore Global-ის ქსელის შესაბამისი სახელმძღვანელოების (ISQM 1 Manual, Global Policies) გათვალისწინებით.

სისტემის ეფექტიანობა რეგულარულად მოწმდება შიდა მიმოხილვებით, Root Cause Analysis-ისა და Action Plan-ის მეოთხედის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას.

მმართველი ორგანოს განცხადება:

ფირმის მმართველი ორგანო ადასტურებს, რომ ხარისხის მართვის სისტემა ფუნქციონირებს ეფექტიანად და უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების შესრულებას პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური მოთხოვნების სრული დაცვით.

5. სამსახურის მიერ ბოლო ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების თარიღი;

სამსახურის მიერ ბოლო ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი განხორციელდა 2023 წელს და ამავე წლის 28 დეკემბერს აუდიტორულ ფირმას მიენიჭა სღპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება. ფირმაში ამჟამად 3 აუდიტის გარიგების პარტნიორია, საიდანაც 2 უფლებამოსილია სღპ ფინანსური აუდიტი განახორციელოს.

6. საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ჩამონათვალი

ქვემოთ წარმოდგენილია იმ რომელსაც საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ჩამონათვალი 2024 წელს გაეწია ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;

- შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინკრედიტი
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
- სს მისო ქართული კრედიტი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კაპიტალ ექსპრესი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი
- შპს მისო ექსპრეს კაპიტალ +
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ტუმბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ
- შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
- სს მისო ინტელექსპრესი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
- შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
- შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
- შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
- შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი
- სს მისო ინვესტ ჯორჯია

7. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომები

აუდიტორული ფირმა ახორციელებს პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტორული საქმიანობის დამოუკიდებლობას როგორც ფირმის, ისე ყველა ჩართული პარტნიორისა და პერსონალის დონეზე.

დამოუკიდებლობის პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო ეთიკის სტანდარტს (IESBA Code of Ethics) და ფირმის შიდა პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ინტერესთა კონფლიქტების იდენტიფიკაციასა და თავიდან აცილებას, კლიენტებთან ურთიერთობების მონიტორინგს, შესაბამისი დეკლარაციების წარდგენასა და პერიოდულ გადამოწმებას.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში რეგულარულად ტარდება დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შიდა მონიტორინგი, რომლის შედეგები მოწმდება და ფასდება ხარისხის კონტროლის პასუხისმგებელი პარტნიორის მიერ.

აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს, რომ ყველა აუდიტი ტარდება სრული ობიექტურობისა და პროფესიული სკეპტიციზმის დაცვით.

8. პარტნიორებისა და აუდიტორთა განგრძობითი განათლების პოლიტიკა

აუდიტორული ფირმა ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს იმ აუდიტორთა და გარიგების პარტნიორთა განგრძობით პროფესიულ განათლებას, რომლებიც ასრულებენ ან უფლებამოსილი არიან შეასრულონ საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე საწარმოების (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

პოლიტიკის მიზანია პარტნიორებისა და აუდიტორთა პროფესიული კომპეტენციის მუდმივი ამაღლება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ეთიკური პრინციპების დაცვისა და აუდიტის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ფირმა უზრუნველყოფს:

- ყოველწლიურად საჭირო საკრედიტო საათების (CPD hours) დაგეგმვასა და მონიტორინგს პროფესიული ორგანოების მოთხოვნების შესაბამისად;
- მონაწილეობას Moore Global-ის შიდა და რეგიონულ სასწავლო პროგრამებში, რომლებიც მოიცავს IFRS, ISA, ISQM, ეთიკის, ტექნოლოგიური ინოვაციების და ლიდერობის თემებს;
- თითოეული პარტნიორისა და აუდიტორისათვის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას, მათი როლისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

განათლების პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ფირმის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პარტნიორი, ხოლო შესრულება რეგულარულად მოწმდება შიდა მონიტორინგის და Moore Global-ის ქსელური ხარისხის შეფასების პროცესების ფარგლებში.

9. პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები

პარტნიორების ანაზღაურება განისაზღვრება ფირმის საერთო ფინანსური შედეგების, თითოეული პარტნიორის ინდივიდუალური წვლილის, ხარისხისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის, კლიენტების მომსახურებისა და ახალი კლიენტების მოზიდვის, ასევე ფირმის სტრატეგიული და მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობის საფუძველზე.

ანაზღაურება არ არის დაკავშირებული კონკრეტული აუდიტის შედეგებთან ან კლიენტისგან მიღებულ ჰონორართან, რათა უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებლობა და ობიექტურობა.

10. პარტნიორებისა და საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში მოქმედებს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო პირის როტაციას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტის შემთხვევაში, გარიგების გარიგების პარტნიორი იცვლება არაუგვიანეს შვიდი (7) წლის შემდეგ იმავე კლიენტზე მუშაობის დაწყებიდან, რის შემდეგაც განისაზღვრება სავალდებულო, უწყვეტი ხუთ წლიანი (5) „გაგრილების“ პერიოდი (cooling-off period).

როტაციის პოლიტიკა ვრცელდება ასევე გარიგების ხარისხის მიმომხილველზე სავალდებულო, უწყვეტი სამ წლიანი (3) „გაგრილების“ პერიოდი შვიდწლიანი (7) მუშაობის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული როტაციის წესი უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის, ობიექტურობის და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას.

11. ინფორმაცია შემოსავლების შესახებ

2024 წლის განმავლობაში აუდიტორი ფირმის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 3,726 ათასი ლარი, საიდანაც სდებების ფინანსური ანგარიშების აუდიტიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 693 ათასი ლარი, არა სდებ კომპანიების ფინანსური ანგარიშების აუდიტიდან 803 ათასი ლარი, სხვა აუდიტორული საქმიანობიდან აუდიტორული საქმიანობიდან შემოსავალმა კი 596 ათასი ლარი, ხოლო არაუდიტორული მომსახურების გაწევით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,634 ათასი ლარი;

აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტირებული სუბიექტისათვის, მისი მშობელი საწარმოსათვის ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოსათვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის 14¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაშვებული, არააუდიტორული მომსახურება არ გაუწევია;

12. ინფორმაცია სანქციების შესახებ

2024 წლის განმავლობაში აუდიტორული ფირმის მიმართ სამსახურის მიერ სანქციების გამოყენების შემთხვევა არ ყოფილა.

***** დოკუმენტის დასასრული